საქართველოს საელჩო
ქ. ბრიუსელი
EMBASSY OF GEORGIA
BRUSSELS

35322-16-3-201907181940

№ 35322-16
18/07/2019

საგარეო საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილეს

ბატონ ვახტანგ მახარობლიშვილს

ბატონო ვახტანგ,

მოგეხსენებათ, რომ საელჩოს #31059-16 წერილში, რომელიც შეეხებოდა ცირკულარული მიგრაციის საკითხს ბელგიის სამეფოში, არსებული კანონმდებლობის ანალიზით საელჩომ ასევე შეისწავლა შესაძლო სფეროები, სადაც საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ დასაქმდნენ ორ ქვეყანას შორის დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების გარეშეც. კონკრეტულად კი, აკადემიის სფეროში მკვლევარებად/ანაზღაურებად დოქტორანტებად, ისევე როგორც ანაზღაურებად სტაჟირებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, იმ შემთხვევაში თუ მსგავსი რამ უკვე არ არსებობს, ცირკულარული მიგრაციის ხელშეწყობისა და ჩვენი ქვეყნის მოსახლეობაში უცხოეთში მიღებული გამოცდილების გაზრდის მიზნით, შესაძლებელია სასარგებლო იყოს ერთიანი პორტალის შექმნა, სადაც განთავსდებოდა ვაკანსიები სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან და ორგანიზაციებიდან, რომელზეც განაცხადის წარდგენა და მონაწილეობა საქართველოს მოქალაქეებსაც შეუძლიათ. ჩვენი მხრივ, საქართველოს საელჩო ბრიუსელში სიამოვნებით შეიტანდა წვლილს და რეგულარულად ოპერატიულად მოგაწვდიდით ინფორმაციას ბელგიაში ვაკანსიების შესახებ, სადაც საქართველოს მოქალაქეებს მონაწილეობა შეეეძლებათ. შესაძლებელია ინფორმაციის ერთ სივრცეში თავმოყრამ გაუმარტივოს ახალგაზრდებს სხვადასხვა შესაძლებლობების აღმოჩენა - თუ რომელ ქვეყანაში რა პროფესიაა პრიორიტეტი, რა სახის ანაზღაურებაა და რა სახის კარიერული ზრდა არის შესაძლებელი. სამინისტროს სურვილისამებრ, საელჩო გამოთქვამს მზადყოფნას აქტიურად შეუწყოს ხელი უცხოეთში საქართველოს მოქალაქეებისათვის არსებული შესაძლებლობების შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

პატივისცემით,
ნატალი საბანაძე

საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი

Rue Père Eudore Devroye, 245, 1150 Woluwe St.Pierre, Brussels
ტელ./Tel: +32 (2) 761 11 90; ფაქსი/Fax: ++ 32 (2) 761-11-99; ელ-ფოსტა/E-mail: geomission.eu@mfa.gov.ge